შ რ ო მ ი თ ი ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

 # - ___/__/___

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია 201_ წლის _____ _____ ქ. თბილისში შემდეგ მხარეებს შორის:

1. **შპს "_____",** კომპანია რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; საიდენტიფიკაციო კოდი _____, იურიდიული მისამართი: _____, ფაქტობრივი მისამართი _____, წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ _____ სახით, შემდგომში წოდებული, როგორც **„დამსაქმებელი"**

2. ფიზიკური პირი _____ _____, პირადი ნომერი _____, მცხოვრები მისამართზე: _____, პირადობის მოწმობის სერია _____ შემდგომში წოდებული, როგორც **"დასაქმებული";**

წინამდებარე ხელეშეკრულებაზე (შემდგომში ხელშეკრულება) ხელმოწერით მხარეები ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "დამსაქმებელი" "დასაქმებულს" ასაქმებს _____ თანამდებობაზე.

1.2. დამსაქმებელი დასაქმებულს ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებულ თანამდებობაზე სამუშაოს შესრულებისათვის უხდის ხელშეკრულების მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ანაზღაურებას.

1.3. დასაქმებულთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება 2 (ორი) თვიანი გამოსაცდელი ვადით;

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. დასაქმებული ვალდებულია:

2.1.1. დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

2.1.2. უზრუნველყოს ხელშეკრულებით და აქტებით (ბრძანება, ინსტრუქტაჟი, სტანდარტი, დებულება და სხვა) გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოს კვალიფიციური და კეთილსინდისიერი შესრულება, აგრეთვე ხელშეკრულებით მასზე ნაკისრი უფლება-მოვალეობების შესრულებისას დაიცვას შრომის ინსტრუქციები.

2.1.3. დასაქმებული აღიარებს და აცნობიერებს ხელშეკრულებისა და მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს დროს მისთვის ცნობილი ინფორმაციის კონფიდენციალურობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, იღებს ვალდებულებას არ გაახმაუროს, გაამჟღავნოს ან სხვაგვარად არ გამოაქვეყნოს მისთვის სამუშაოს შესრულების (სამსახურეობრივი მოვალეობის) შედეგად ცნობილი ინფორმაცია ან ხელშეკრულების პირობები. გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მას ასეთი ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება არ ეკისრება კანონის ძალით. ასეთ შემთხვევაში დასაქმებული ვალდებულია, ინფორმაციის გამჟღავნებიდან ერთი დღის განმავლობაში,

დამსაქმებელს წერილობით აცნობოს მის მიერ გამჟღავნებული ინფორმაციის შინაარსი, ვის მიაწოდა ინფორმაცია და რის საფუძველზე.

2.1.4 უზრუნველყოს შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინის დაცვა.

2.1.5. არ დაუშვას ისეთი ქმედება, რომელიც შეაფერხებს დამსაქმებლის მუშაობას, შელახავს მის ავტორიტეტს ან მიაყენებს მატერიალურ ზიანს.

2.1.6. მზრუნველობით მოეპყრას დამსაქმებლის ქონებას და მიიღოს ყველა ზომა ზიანის თავიდან ასაცილებლად.

2.1.7. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, მაგრამ არაუმეტეს სამი წლისა არ მოახდინოს არანაირი ორგანიზაციურ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს ჩამოყალიბება (მათ შორის არაკომერციული იურიდიული პირის), როგორც ინდიდვიდუალურად, აგრეთვე სხვა ორგანიზაციურ-სამართლებრივი ფორმის საწარმოსთან (საწარმოებთან), ფიზიკურ პირთან (პირებთან) თუ სხვა სახის არაიურიდიულ პირთან (პირებთან) ერთად, რომელიც ეწევა იგივე საქმიანობას, რასაც დამსაქმებელი;

2.1.8. სამუშაო შეასრულოს პირადად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები წერილობითი ფორმით თანხმდებიან სამუშაოს მესამე პირის მიერ შესრულებაზე.

2.1.9. დამსაქმებელს აცნობოს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მას სამუშაოს შესრულებაში ან საფრთხე შეუქმნას დამსაქმებლის ან მესამე პირის ინტერესებს.

2.1.10. მესამე პირებთან შეთავსებით სამუშაოზე ხელშეკრულება გააფორმოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ხელშეკრულებით შესასრულებელი სამუშაო ხელს არ შეუშლის დასაქმებულს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებაში. Dასაქმებულს უფლება არ აქვს იგივე ტიპის სამუშაო შეასრულოს სხვა სუბიექტების სასარგებლოდ;

2.1.11. თუ დასაქმებულს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად უფლება აქვს (შეუძლია) შეასრულოს შეთავსებითი სამუშაო მესამე პირის სასარგებლოდ, აღნიშნულის შემთხვევაში დასაქმებულმა დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს დამსაქმებელს. შეთავსებითი სამუშაოს შესრულებისას დასაქმებულმა არ უნდა გამოიყენოს დამსაქმებლის ტექნიკური ან სხვა შესაძლებლობანი, აგრეთვე მისი ოფისი.

2.1.12. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში არ შეასრულოს არანაირი სახის სამუშაო (ანაზღაურებადი თუ არაანაზღაურებადი) იმ მესამე პირთან, რომელიც წარმოადგენს დამსაქმებლის კონკურენტს (ეწევა იგივე საქმიანობას რასაც დამსაქმებელი).

2.1.13. შეასრულოს დამსაქმებლის მითითებები, რომლითაც იგი აზუსტებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეულ გარემოებებს, რომლებიც არსებითად არ ცვლის ხელშეკრულების პირობებს.

2.1.14. გააგრძელოს სამუშაოს შესრულება, თუ ხელშეკრულების ვადა გავიდა, მაგრამ სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე მუშაობის დაუყოვნებლივ შეწყვეტა მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

2.1.15. გაუფრთხილდეს დამსაქმებლის მიერ მისთვის გადაცემულ ქონებას, გამოიყენოს იგი დანიშნულებისამებრ და დაიცვას ასეთი ქონების გამოყენებისათვის დადგენილი ნორმები.

2.1.16. წერილობით შეატყობინოს დამსაქმებელს მის პირად მონაცემებში ნებისმიერი ცვლილებების შესახებ, ასეთი ცვლილებიდან 3 დღის განმავლობაში.

2.1.17. მოწესრიგებულ მდგომარეობაში გამოცხადდეს სამუშაოს შესასრულებლად [შესაძლებელია მიუთითოთ თუ როგორი სტილის ტანსაცმელი უნდა ეცვას].

2.1.18. იზრუნოს დამსაქმებლის პრესტიჟის დაცვასა და მომსახურების გაუმჯობესებაზე.
2.1.19. უზრუნველყოს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით მისთვის გადაცემული ქონებისა და საბუთების დაცვა მესამე პირებისაგან (მათ შორის სხვა დასაქმებულთაგან, თუ მათ არ ევალებათ ერთობლივად სამუშაოს შესრულება) და მათი უსაფრთხოდ შენახვა.
2.1.20. უზრუნველყოს დამსაქმებულისათვის იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა დასაქმებულის მოქმედებით (მათ შორის სამსახურეობრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებით) ან მისთვის მიბარებული ქონების განადგურებით.
2.1.21. მოთხოვნისთანავე, მიაწოდოს ინფორმაცია სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ ანგარიშვალდებულ პირს (ვის დაქვემდებარებაშიც იმყოფება) და დაიცვას სუბორდინაცია (ხელმძღვანელსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ დასაქმებულს შორის არსებული სამსახურეობრივი დაქვემდებარების სისტემა).
2.1.22. ხელშეკრულების 6.5.1. პუნქტის შესაბამისად დასაქმებულის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში წერილობითი შეტყობინებიდან 30 დღის განმავლობაში უზრუნველყოს სამსხურეობრივი მოვალეობის შესრულებას (ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება).
2.1.23. დამსაქმებლის მომსახურებით სარგებლობა შესთავაზოს დამსაქმებლის მიერ განსაზღვრულ მესამე პირებს;
2.1.24. მესამე პირებზე დამსაქმებლის მომსახურების შეთავზე განახორციელოს დამსაქმებელთან წინასწარ შეთანხმებული ფორმით;
2.1.25. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, მაგრამ არაუმეტეს სამი წლისა არ დაამყაროს არანაირი სახელშეკრულებო ურთიერთობა იმ მესამე პირებთან, რომლებიც წარმოადგენენ დაამსაქმებლის კლიენტებს (დამსაქმებელი უწევს მომსახურებას) ან რომლებიც მოძიებული იქნენ დამსაქმებულის მიერ და რომელთაც დამსაქმებელი უწევს მომსახურებას;
2.1.26. ყოველი თვის ბოლო კალენდარულ დღეს დამსაქმებელს წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია იმ მესამე პირების შესახ, რომლებსაც მან ამ კონკრეტულ თვეში შესთავაზა დამსაქმებლის მომსახურებით სარგებლობა. ასეთი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: მესამე პირის დასახელება და მისამართი; იმ პირის სახელი გვარი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, რომელსაც ესაუბრა დასაქმებული; თარიღი, თუ როდის მოხდა მესამე პირისა და დასაქმებულის შეხვედრა;
2.1.27. დამსაქმებლის მოთხოვნის საფუძველზე, მიაწოდოს მას ინფორმაცია მესამე პირთან შეხვედრასთან დაკავშირებით;
2.1.28. ყოველ თვე მოიზიდოს ახალი მესამე პირები, რომელებიც ჯამში დამსაქმებელს მომსახურების სანაცვლოდ შესაბამის თვეში გადაუხდიან მინიმუმ 1500 (ერთიათას ხუთასი) ლარს;
2.2. დამსაქმებელი ვალდებულია:
2.2.1. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად აანაზღაუროს დასაქმებულის მიერ გაწეული შრომა.
2.2.2. უზრუნველყოს დასაქმებულისათვის ინსტრუქტაჟის ჩატარება უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისა და შრომის დაცვის წესების შესახებ.
2.2.3. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას დასაქმებულთან მოახდინოს საბოლოო ანგარიშსწორება არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა.

2.2.4. უზრუნველყოს დასაქმებული ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყოველწლიური ანაზღაურებადი და დასაქმებულის მოთხოვნით ანაზღაურების გარეშე შვებულებით.
2.2.5. ჯეროვნად უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

3. მხარეთა უფლებები

3.1. დასაქმებულს უფლება აქვს:
3.1.1. მიიღოს ინფორმაცია მასზედ დაკისრებული სამუშაოს შესახებ.
3.1.2. კანონისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად თავისი შეხედულებისამებრ ისარგებლოს დასვენებით სამუშაო დღის განმავლობაში და უქმე დღეებით.
3.1.3. უარი განაცხადოს იმ სამუშაოს შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, ან შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობის გამო აშკარა საფრთხეს უქმნის მის ან მესამე პირების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას. ასეთ შემთხვევაში აღნიშნული გარემოებების გამო დასაქმებული ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამსაქმებელს.
3.2. დამსაქმებელს უფლება აქვს:
3.2.1. მოთხოვოს დასაქმებულს კანონითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების კვალიფიციური და ჯეროვანი შესრულება.
3.2.2. მოითხოვოს დასაქმებულისაგან ინფორმაციის წარდგენა სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.
3.2.3. მოახდინოს დასაქმებულის წახალისება ან დისციპლინური სასჯელის დადება (დასჯა) ან ხელშეკრულების შეწყვეტა დამსაქმებლის უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული შინაგანაწესის შესაბამისად.
3.2.4. მითითებით დააზუსტოს დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოება.
3.2.5. დასაქმებულის შრომითი ანაზღაურებიდან დაქვითოს ზედმეტად გაცემული თანხა ან ნებისმიერი სხვა თანხა, რომელიც დასაქმებულს დამსაქმებლისათვის აქვს გადასახდელი შრომითი ურთიერთობიდან, ერთჯერადად დაქვითვის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების 50 პროცენტს.
3.2.6. თავისი ინიციატივით ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება.
3.2.7. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გააგზავნოს დასაქმებული მივლინებაში.
3.2.8. ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ, დასაქმებულზე ყველანაირი ანაზღაურების გადახდის გარეშე, დამოუკიდებლად გაუწიოს მომსახურება იმ მესამე პირებს, რომლებიც დამსაქმებლის მომსახურების მიღებას ახდენენ დასაქმებულის მეშვეობით (მოძიებული იქნენ დასაქმებულის მიერ);
3.2.9. გამოსაცდელი ვადის პერიოდში ნებისმიერ დროს მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში დამსაქმებელს დასაქმებულის სასარგებლოდ არ ეკისრება არანაირი პირგასამტეხლოს, საჯარიმო სანქციის ან კომპენსაციის გადახდა;

4. შრომის ანაზღაურება

4.1. დამსაქმებელისათვის ყოველთვიურად ხელფასის სახით გადასახდელი თანხა შეადგენს _____ (_____) ლარს. აღნიშნული თანხა შეიცავს კანონით გათვალისწინებულ იმ გადასახადს, რომელიც დაიქვითება ანაზღაურების გაცემის დროს.

4.2. ხელფასის დარიცხვა მოხდება ხელფასის დარიცხვის უწყისით ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ყოველი საანგარიშო თვის ბოლო კალენდარულ დღეს;

4.3. ხელფასი გაიცემა ყოველი საანგარიშო თვის მომდევმო თვის _____ რიცხვამდე;

4.4. დამსაქმებელს სრული მოცულობით ანაზღაურება მიეცემა იმ შემთხვევაში, თუ იგი ჯეროვნად შეასრულებს ხელშეკრულების 2.1.28 პუნქტს და მის მიერ ახალ (მომდევნო) თვეში მოზიდული ახალი მესამე პირები დამსაქმებელს შესაბამის კონკრეტულ თვეში მომსახურების სანაცვლოდ ჯამში გადაუხდიან მინიმუმ 1500 (ერთიათას ხუთასი) ლარს;

4.5. იმ შემთხვევაში თუ დასაქმებულის მიერ დარღვეული იქნა ხელშეკრულების 2.1.28 პუნქტი და მან ვერ მოახერხა, რომ მის მიერ ახალ (მომდევნო) თვეში მოზიდულმა, ახალმა მესამე პირებმა დამსაქმებელს შესაბამის კონკრეტულ თვეში მომსახურების სანაცვლოდ ჯამში გადაუხადონ მინიმუმ 1500 (ერთიათას ხუთასი) ლარი, დამსაქმებელი დასაქმებულს შრომის ანაზრაურების სახით 800 (რვაასი) ლარის ნაცვლად უხდის 200 (ორასი) ლარს;

4.6. დასაქმებულზე ხელფასი გაიცემა უშუალოდ დამსაქმებლის ადმინისტრაციულ შენობაში ან დასაქმებულის სახელზე საბანკო დაწესებულებაში გახსნილ შესაბამის ანგარიშზე ანაზღაურების გადარიცხვით.

4.7. ხელშეკრულების 4.3. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში დამსაქმებლის მიერ დასაქმებულზე ანაზღაურების, აგრეთვე დასაქმებულზე გასაცემი ნებისმიერი თანხის დასაქმებულისათვის ვადაში არ გაცემის შემთხვევაში, დამსაქმებელს არანაირი საჯარიმო სანქცია ან პირგასამტეხელო არ ეკისრება.

4.8. დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული დასაქმებულის იძულებითი მოცდნისას დასაქმებულს შრომის ანაზღაურება არ მიეცემა;

4.9. დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის, შრომითი ურთიერთობის შეჩერების შემთხვევაში, დასაქმებულს შრომის ანაზღაურება არ მიეცემა.

4.10. გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში დასაქმებულის შრომა ანაზრაურდება შემდეგ ნაირად: ხელშეკრულების მოშლის თვეში დასაქმებულის მიერ მოზიდული მესამე პირის მიერ დამსაქმებლისათვის გადახდილი თანხის 5%;

5. სამუშაო დროის დასაწყისი, დასასრული, შესვენების დრო და უქმე დღეები

5.1. სამუშაოს დაწყების და დამთავრების დრო არ არის რეგლამენტირებული, მაგრამ დამსაქმებლის მოთხოვნით შეიძლება ყოველდღიურად განისაზღვროს დილის 10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე, ხოლო შესვენების დრო ყოველდღიურად განისაზღვრება 13:00 სთ-დან 14:00 სთ-მდე.

5.2. შესვენებისა და დასვენების დრო არ ითვლება სამუშაო დროში.

5.3. დამსაქმებელთან დასაქმებულისათვის დაწესებულია 6 დღიანი სამუშაო კვირა.

5.4. დასაქმებულის მიერ შესრულებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ არის ლიმიტირებული და შიძლება აღემატებოდეს კვირაში 41 საათს.

5.5. დასაქმებულთა მუშაობა უქმე დღეებში, შესვენების დროს ან სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ ნებაყოფლობითია. Dდასაქმებულის ინიციატივით სამუშაო დროის შემდეგ და უქმე დღეებში შესრულებული სამუშაო არ ანაზღაურდება.

5.6. უქმე დღეები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისა, და დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან.

6.2. ხელშეკრულება მოქმედებს მისი ძალაში შესვლიდან 201_ წლის _____ _____ ჩათვლით.

6.3. მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით დამსაქმებელი აფრთხილებს და დასაქმებული ეთანხმება, რომ ხელშეკრულება შეწყდება ხელშეკრულების 6.2. პუნქტში აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ.

6.4. ხელშეკრულება წყდება:

6.4.1. ვადამდე მხარეთა შეთანხმებით.

6.4.2. ვადამდე დასაქმებულის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების (ხელშეკრულების პირობების) დარღვევის შემთხვევაში;

6.4.3. ვადამდე დამსაქმებლის მიერ, დამსაქმებლის უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული წახალისებისა და დისციპლინური დასჯის შესახებ დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

6.4.4. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

6.5. ხელშეკრულება ვადამდე მოშლა ხდება:

6.5.1. დასაქმებულის ინიციატივით, თუ იგი 30 კალენდარული დღით ადრე წერილობითი ფორმით გააფრთხილებს დამსაქმებელს.

6.5.2. ნებისმიერ დროს, დამსაქმებლის ინიციატივით.

6.6. დამსაქმებლის მიერ გამოსაცდელი ვადის პერიოდში ხელშეკრულების არ მოშლის შემთხვევაში, ითვლება რომ დასაქმებულთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ხელშეკრულების 8.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადით;

7. პასუხისმგებლობა

7.1. დასაქმებულის მიერ ხელშეკრულების 2.1.10. ან 2.1.11. ან 2.1.12, ან 2.1.25 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების ყოველი შეუსრულებლობის შემთხვევაში დასაქმებულმა დამსაქმებელს პირგასამტეხელოს სახით უნდის 5 000 (ხუთი ათასი) ლარს.

7.2. შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც მიეთითება იმ ნივთების ნუსხა, რომლებიც მას გადაეცა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისათვის. დასაქმებულისათვის გადაცემულ ნივთებზე მას ეკისრება სრული მატერიალური პასუხისმგებლობა.

7.4. დასაქმებულის მიერ ხელშეკრულების 2.1.22. ან 6.5.1. პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, დასაქმებული დამსაქმებელს პირგასამტეხელოს სახით უნდის 5 000 (ხუთი ათასი) ლარს.

10. სხვა პირობები

10.1 დასაქმებულს უფლება არ აქვს კანონით დადგენილი უქმე დღეების ნაცვლად მოითხოვოს სხვა დასვენების დღეები.

10.2. მხარეები ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ ხელშეკრულება შედგენილია მათთვის გასაგებ ენაზე, არ შეიცავს ბუნდოვან დებულებებს და რომ ისინი სრულად გაეცნენ და მიიღეს აღნიშნული პირობები.

10.3. ხელშეკრულება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სრული შეთანხმების შედეგია და უპირატესობა ენიჭება მხარეებს შორის მანამდე არსებულ, როგორც წერილობით ისე ზეპირ წინადადებებთან, მოლაპარაკებებთან, განცხადებებთან, ვალდებულებებთან და შეთანხმებებთან შედარებით.

10.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის თუ ის გაფორმებულია წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ყველა ზეპირი შეთანხმება ხელშეკრულებასთან დაკავშირებით იურიდიული ძალის არმქონეა.

10.5. მხარეებმა ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინება უნდა განახორციელონ წერილობითი ფორმით (გარდა ხელშეკრულების კონკრეტული პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა). ასეთი შეტყობინება ითვლება სათანადოდ გაგზავნილად, თუ იგი ადრესატს გადასცა კურიერმა, გაგზავნილია დაზღვეულია ფოსტით, ან ფაქსით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, თუ მეორე მხარე ხუთი დღით ადრე არ შეატყობინებს საკუთარი მისამართის შეცვლის შესახებ.

10.6. ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი რეგულირება, მართვა და ინტერპრეტაცია მოხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული და დარეგულირებული ხელშეკრულებით, წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

10.7. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკებით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმე განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.8. ხელშეკრულება შედგენილია ქართულად, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„დამსაქმებელი“	**„დასაქმებული“**
შპს “_____”	ფ/პ _____ _____
ს/კ _____	პ/ნ _____
დირექტორი: _____	SWIFT:
_____	IBAN:
ხელმოწერა:	ხელმოწერა:

ბ.ა.